ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე: ოთარ კაჭკაჭაშვილი

კოლეგიის წევრი: ინგა ბერიძე

კოლეგიის წევრი: ანა ხურციძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.08.23

შეკითხვის ავტორი: ადვოკატი /სიითი №/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/23

I. შეკითხვა

ხომ არ დაირღვევა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი სასამართლოში, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, ჰონორართან დაკავშირებულ დავაში, გაამჟღავნებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ცნობილი გახდა კლიენტისთვის იურიდიული მომსახურეობის გაწევისას, ხოლო თავის მხრივ აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატს დაეხმარება მოსამართლეთა შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში და სასამართლოს მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანაში.

II. ანალიზი

ეთიკის კომისიამ ადვოკატის შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

საადვოკატო საქმიანობის პირნციპია ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3 „კ“ მუხლი).

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.1 მუხლი).

“ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, როელსაც ეს უკანსასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა“ (იხ. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3-ე მუხლის პირველი პუნქტი). ადვოკატის მხრიდან, “მიღებულ უნდა იქნას ყველა აუცილებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატკლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პატივისცემა. ამ პრინციპის გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონის უზენაესობის პრინციპებს შეესაბამება“ (იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 – პრინციპი I, მე-6 პუნქტი)

ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან უნდა იყოს დაფუძნებული იმ ფუნდამენტურ და სახელმძღვანელო პრინციპებზე, რასაც განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნები. საადვოკატო საქმიანობისას ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია დამოუკიდებლობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დაცვა. ადვოკატის მიერ როგორც არსებული კლიენტის, ისე ყოფილი ან პოტენციური კლიენტის საქმის თაობაზე არსებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.

პროფესიული საიდუმლოება არის საადვოკატო საქმიანობის დროს მიღებული ყველა სახის ინფორმაცია კლიენტის საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ კანონითა და ადვოკატის პროფესიის ეთიკის წესებით დადგენილი გამონაკლისების შესაბამისად. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად და არ გაამჟღავნოს ის კლიენტის თანხმობის გარეშე.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 7.3 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 4.4 მუხლების თნახმად, ადვოკატს უფლება აქვს გაამჟღავნოს საადვოკატო საქმანობის დროს მოპოვებული ინფორმაცოია, ა) კლიენტის თანხმობისას, ბ) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებლია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას.

კონკრეტულ შემთხვევაში, კითხვაში აღწერილი ფაქტების გათალისწინებით, იმისთვის, რომ ადვოკატმა, ჰონორართან დაკავშირებულ სასამართლო დავაში, ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგოდ გააჟღეროს კონფიდენციალური ინფორმაცია და ამავდროულად არ დაარღვიოს ადვოკატის პროფესიული ეთიკა, აუცილებელია მისი ქმედება ჯდებოდეს მუხლის იმ დანაწესში, რომლის მიხედვითაც ადვოკატს აქვს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება, თუ ეს აუცილებელია მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას, საკუთარი სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც, პირველ რიგში გულისხმობს ადვოკატის მხრიდან ისეთი ინფორმაციის გაჟღერებას, რომელიც უშუალო კავშირშია მის სასარჩელო მოთხოვნასთან და ემსახურება მხოლოდ მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატს საკუთარი უფლების დასაცავად, სასამართლო წარმოებაში, შეუძლია გამოიყენოს კონკრეტულად ის ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება მის კანონის დაცვის ღირს ინტერესს და არსებითად არის დაკავშირებული მასთან. ადვოკატის მხრიდან, სხვა საქმესთან კავშირში არ მქონე ინფორმაციის გავრცელება, თუნდაც კლიენტის პიროვნებისა და რეპუტაციის დისკრედიტაციისა და მსგავსი ფორმით, მოსამართლეთა შინაგან რწმენაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, ჩაითველაბა ადვოკატის მხრიდან ეთიკურ გადაცდომად.

III. დასკვნა

ადვოკატს საკუთარი უფლების დასაცავად, ჰონორართან დაკავშირებულ დავაში, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ შეუძლია გამოიყენოს ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ ეხება მის კანონის დაცვის ღირს ინტერესს და არსებითად არის დაკავშირებული მის სასარჩელო მოთხოვნასთან. ადვოკატის მხრიდან, სხვა საქმესთან კავშირში არ მქონე ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მიზნად ისახავს კლიენტის პიროვნებისა და რეპუტაციის დისკრედიტაციას და ამ გზით მოსამართლეთა შინაგან რწმენაზე ზეგავლენის მოხდენას, ჩაითვლება ეთიკურ გადაცდომად.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/